ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანანო მოდებაძე

მედიაციის მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევა

კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე, სრული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს მედიაციის გამოყენების არსებული პრაქტიკა და მისი ეფექტურობა საქართველოში. არსებული ვითარების შეფასებით, ლიტერატურისა და დოკუმენტების გაანალიზებით შევძლებთ, გამოვიტანოთ დასკვნები აღნიშნულ საკითხზე. გარდა ამისა, ნაშრომი გაგვაცნობს სიღრმისეული ინტერვიუსა და დისკურს ანალიზის შედეგებს, რაც გვაჩვენებს ამა თუ იმ ტენდენციას, რომელიც დღესაა გავრცელებული. ამასთანავე, ნაშრომში წარმოდგენილია 2007 წელს ჩატარებული კვლევა მედიაციასთან დაკავშირებით, რომელიც გვაძლევს შესაძლებლობას, შევადაროთ არსებულ ვითარებას და უკეთ დავინახოთ სხვაობა თუ საჭიროება დავების ალტერნატიული მოგვარებიდ გზებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 2007 წლის შემდეგ საქართველოში მედიაცია, როგორც დავების მოგვარების ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალება უფრო აქტუალური გახდა, რადგან დაფუძნდა ბევრი კომპანია, რომლებიც კლიენტებს სთავაზობენ ამ მეთოდს. ასევე, გამოჩნდა, რომ დღეს დავების მოგვარების არსებული პრაქტიკა არ არის ეფექტური და საჭიროებს გაუმჯობესებას.

Abstract

The aim of the research paper is to study use of mediation in nowadays life and its effectiveness in Georgia. Assessing the current situation with literature and document review, we will be able to bring solutions about this issue. Apart from that, the research paper is representing in-depth interview and Discourse analysis, which shows tendencies that are spread today. In addition, in the paper there is a research hold in 2007 that gives us opportunity to compare two different situations with each other. This will help us to see the necessity of alternative dispute resolution.

Research results showed that since 2007 mediation as one of the methods of alternative dispute resolution is more effective, because many componies were set up and they offer mediation as a new and effective method for conflict resolution. Apart from that, research showed that Georgia does not have well prepeared practice for conflict resolution, so to improve these methods are very useful.

სარჩევი

შესავალი 4

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 7

1.1 მედიაციის ისტორია 10

1.2 მედიაციის არსი 19

1.3 მედიაციის პროცესი 21

1.4 დოკუმენტების ანალიზი 25

1.5 მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები 30

თავი II. მედიაციის არსებული პრაქტიკა საქართველოში 32

თავი III. კვლევის ანალიზი.....38

3.1 კონფლიქტის მიზეზები 38

3.2 მესამე მხარის ჩართულობა 40

დასკვნა 43

გამოყენებული ლიტერატურა 44

დანართი 45

შესავალი

კვლევის აქტუალურობა

მაშინ, როცა მედიაციას, როგორც კონფლიქტის ალტერნატიული გადაწყვეტის გზას, სულ უფრო ფართოდ და ხშირად იყენებენ დასავლეთში, საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებადაა გავრცელებული კონფლიქტების მოგვარების ეს მეთოდი. მიღებული პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მედიაციის გამოყენება სამეზობლო თუ საოჯახო კონფლიქტების გადაწყვეტის დროს ბევრად ეფექტურია, ვინაიდან იგი საჭიროებს ნაკლებ დროს, რესურსს და ორიენტირებულია სამომავლო თანამშრომლობასა და ურთიერთობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ვიკვლიოთ, თუ რამდენადაა საქართველოში საზოგადოება ინფორმირებული მედიაციის შესახებ და როგორია კონფლიქტების ალტერნატიული გზით მოგვარების არსებული პრაქტიკა.

აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია, შევისწავლოთ მედიაციის გამოყენების არსებული პრაქტიკა და მისი ეფექტურობა. კვლევაში გამოყენებულია მეთოდოლოგიის სხვადასხვა სახე, როგორებიცაა: ლიტერატურის მიმოხილვა, დოკუმენტების ანალიზი, დისკურს ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის სამიზნე ჯგუფია თბილისის მოსახლეობა, შესაბამისად, ინტერვიუებშიც მათ მიიღეს მონაწილეობა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ვლინდება, რომ საქართველოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, საჭიროა დავების მოგვარების ალტერნატიული მეთოდების, კერძოდ მედიაციის განვითარება, რადგან არსებული რეალობა გვაჩვენებს, რომ სასამართლო თუ სხვა გარეშე პირი ვერ ახერხებს კონფლიქტის ორივე მხარისათვის თანაბარ პირობებში მოგვარებას.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შეისწავლოს მედიაციის გამოყენების არსებული პრაქტიკა და მისი ეფექტურობა სამეზობლო და საოჯახო კონფლიქტების დროს.

საკვლევი კითხვები ასეთია:

- ✓ ოჯახური და სამეზობლო კონფლიქტის ალტერნატიული გზით გადაჭრის რომელი მეთოდებია გავრცელებული?
- ✓ არსებული პრაქტიკით რამდენად კმაყოფილები არიან მხარეები?

კვლევისათვის გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი, მათ შორისაა სიღრმისეული ინტერვიუ, დისკურს ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა და დოკუმენტების ანალიზი. კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ექვსი სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუების ჯგუფს მიეკუთვნება. იგი მიზნად ისახავს რესპოდენტებისგან დეტალური, ღრმა და თანმიმდევრული ინფორმაციების მიღებას მათი ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ, შედეგად შემდგომ ხდება გარკვეული საზოგადოებრივი კანონზომიერების დადგენა, ხანდახან კი საერთო

ხასიათის დასკვნების გამოჩენა. იგი სამი ფაზისგან შედგება: პრეინტერვიუ, კერძოდ ინტერვიუ და პოსტინტერვიუ. ამ ტიპის ინტერვიუში ყველაზე ხშირად ისმის კითხვები -„რატომ“ და „როგორ?“ (ზურაბიშვილი, 2006, 16). სამიზნე ჯგუფად არჩეულ იქნა თბილისის მოსახლეობა, რომლებსაც ქონდათ მსგავსი ხასიათის კონფლიქტის გამოცდილება. სამი მათგანი გვესაუბრა ოჯახურ კონფლიქტზე, ხოლო დარჩენილმა რესპოდენტებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება სამეზობლო დავების დროს. კვლევაში არ შევზღუდეთ ასაკი და სქესი, ვინაიდან მათი მრავალფეროვნება ბევრ განსხავვებულ აზრს განაპირობებს, რაც კვლევის შედეგებზე მნიშვნელოვანწილად აისახა. ინტერვიუების ანალიზის დროს გამოვიყენეთ როგორც ღია, ისე ღერძული კოდირებები. ტრანსკრიპტების კოდირების შემდეგ მოხდა მათი დაჯგუფება და შემგდომში უკვე ანალიზის გაკეთება.

გარდა სიღრმისეული ინტერვიუსა, კვლევაში გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვა. განხილულია როგორც სხვადასხვა საინტერესო წიგნი მედიაციის შესახებ, ისე სამეცნიერო სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში.

ლიტერატურის მიმოხილვასთან ერთად, კვლევაში დოკუმენტების ანალიზიც გამოყენებულია. განხილულია სამართლებრივი დოკუმენტი - კანონი მედიაციის შესახებ. 10 წლის წინ ჩატარებული კვლევის შედეგები. არსებული დოკუმენტები უზრუნველყოფს საკვლევი პრობლემის განსაზღვრას და გვაწვდის მასზე სიღრმისეულ ინფორმაციას.

კვლევის ჩასატარებლად ასევე გამოყენებულია დისკურს ანალიზი, რომელიც შეისწავლის როგორც ჩვეულებრივ საუბრებსა და ყოფით ახსნებს, ისე მათში ასახულ სოციალურ მოვლენებს. მოცემულ კვლევაში დისკურს წარმოადგენს ერთ-ერთი სოციალური ქსელი „ფეისბუქიდან“ ამოღებული სტატუსი კომენტარებთან ერთად. სიღრმისეული ინტერვიუების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია ღია და ღერძული კოდირებები, რამაც დისკურსების პატერნებისა და ფართო სფეროების გამოვლენის საშუალება მოგცა.

მოცემული კვლევა შეზღუდულია, ვინაიდან იგი შეისწავლის მხოლოდ ერთ, კონკრეტულ სფეროს, რაც არასაკმარისი დროითა და რესურსებითაა გამოწვეული. ამასთანავე, არსებობს რესპოდენტების სიმცირე და მათი შერჩევის პრობლემა. ამ შემთხვევაშიც დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ვერ მოხერხდა ექვსზე მეტი სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარება, ამასთან ერთად ძალზე გართულდა რესპოდენტების შერჩევის პროცესიც. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა ყოვლისმომცველი არაა, ჩვენ არ შეგვიძლია მისი შედეგების განზოგადება. იგი მხოლოდ ტენდენციებს გვიჩვენებს.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა და დოკუმენტების ანალიზი

ლიტერატურის მიმოხილვის დასაწყისში აუცილებელია, გამოვყოთ საიმონ ფიშერის წიგნი „კონფლიქტზე მუშაობა - უნარჩვევები და სტრატეგიები“, სადაც ნათლადაა აღწერილი, თუ რა სახის კონფლიქტები არსებობს, როგორია მხარეების მიერ განხორციელებული სტრატეგიები, ტაქტიკები, ესკალაციის როგორ დონეს ვხვდებით კონფლიქტის გარკვეულ სტადიაზე და რა როლი ეკისრება მასში ჩართულ მესამე მხარეს. ფიშერის მიხედვით, ესკალაციის დროს ხდება კონფლიქტის ტრანსფორმაცია. ამ გარდაქმნების შედეგად, კონფლიქტის დაძაბულობა იმდენად იმატებს, რომ მისი დასუსტება ზოგჯერ ძალიან რთულდება. ძირითადად, გამოვყოფთ ესკალაციის 5 ტრანსოფრმაციას. ესენია: მსუბუქიდან მძიმესკენ, რომლის დროსაც მსუბუქ ტაქტიკებს ხშირად მძიმე ტაქტიკებით ანაცვლებენ. შემდეგია მცირედან უფრო დიდისკენ, როცა დავის დროს შესაძლებელი ხდება სულ უფრო მეტი ობიექტის გაჩენა. მესამეა კერძოდან ზოგადისკენ, რაც გულისხმობს, რომ კონფლიქტის ესკალაციის დროს უთანხმოების კერძო მომენტებს ჩაანაცვლებენ უფრო ფართო პლანის უთანხოებები, რასაც მოსდევს მხარეებს შორის ურთიერთობის საბოლოო გაფუჭება.

რაც შეეხება შედეგის მიღწევიდან-გამარჯვებამდე-სხვისთვის ზიანის მიყენებამდე ტრანსფორმაციას, ამ დროს კონფლიქტის დასაწყისში პირველი მხარე ცდილობს, რაც შეიძლება უკეთეს შედეგს მიაღწიოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და სრულიად არ ადარდებს, რა მდგომარეობაშია მეორე მხარე, თუმცა, ესკალაციის კვალდაკვალ იზრდება კონკურენციის სურვილი და პირველი მხარისთვის საკუთარი წარმატება მეორე მხარისთვის გადასწრებას ნიშნავს. ბოლო ტრანსორმაცია მიმართულია მცირერიცხოვანიდან მრავლისკენ, რაც გულისხმობსს, რომ კონფლიქტში, სადაც მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს, ხშირად წარუმატებელი ბრძოლის გამო, რაოდენობრივად იზრდება და კოლექტიურ ქმედებაში გადადის. გარდა ამისა, ფიშერის წიგნში საინტერესოა ფსიქოლოგიური ფაქტორები კონფლიქტურ სპირალში, რაც გულისხმობს ესკალაციის დროს ერთი მხარის მიერ გამოყენებული მძიმე ტაქტიკების გამო მეორე მხარის ფსიქოლოგიურ რეაქციას, რომლებიც შეიძლება იყოს: მეორე მხარის დადანაშაულება, ბრაზი მეორე მხარის მიმართ, შიში მეორე მხარის მიმართ და იმიჯის შელახვის შიში (ფიშერი, 2000).

გარდა ფიშერის წიგნისა, კონფლიქტების ბუნებაზე ვრცლადაა საუბარი მაღრაძის ჯორბენაძისა და სხვა ავტორების წიგნში „კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობის მშენებლობა“. აქ ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნულ წიგნში ჩამოთვლილი და დახასიათებული კონფლიქტის ხუთი ძირითადი სტრატეგია. ერთ-ერთი მათგანია განრიდება, რაც პრობლემისგან გაქცევას ნიშნავს. ამ დროს ერთ-ერთი მხარე არც კომპრომისზე და არც მიზანზეა ორიენტირებული. იგი ცდილობს, გამოვიდეს კონფლიქტური სიტუაციიდან. შემდეგია კონკურენცია. იგი დომინირებულია, მოიცავს შეჯიბრს, ბრძოლას. იგი გულისხმობს ერთი მხარის დომინირებას და უმეტეს შემთხვევაში მეორე მხარის განადგურებას. თანამშრომლობითი სტრატეგია კი ინტეგრირებულია, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა მიზნებსა და კოოპერირებას. ორიენტაცია ორივე მხარის ინტერესების დაკმაყოფილებაზეამიმართული. რაც შეეხება შეგუების სტრატეგიას, ამ დროს მიზანზე ორიენტაცია ნაკლებია, თუმცა, ურთიერთობაზე ორიენტაცია მაქსიმუმს აღწევს. ერთი მხარე თანამშრომლობის გამო

თმობს თავის ინტერესებს, რათა მეორე მხარის კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. და ბოლოს, კომპრომისის სტრატეგისას ხდება რესურსების 50/50-ზე განაწილება, რა დროსაც მიზანზე და კოოპერაციაზე ორიენტაცია საშუალო დონით ვლინდება. ამ შემთხვევაში დათმობა გარკვეული ხარისხით ხორციელდება, ანუ დავის მიზეზს ორივე მხარე ერთნაირი დონით იყოფს (მაღრაძე, 2004, 24-26).

მედიაციაზე საუბრისას, აუცილებელია აღვნიშნოთ თამრა პიარსონის წიგნი მედიაციის შესახებ, სადაც ერთი თავი დათმობილი აქვს საქართველოს მდგომარეობის აღწერას მედიაციის განვითარების კუთხით. ამ ნაწილის შექმნაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მედიაციის კლინიკამ ქალბატონი გუგული მაღრაძის ხელმძღვანელობით (პიერსონი, 2018, 269-280).

„მედიაციის დანერგვა საქართველოში: ძველი ტრადიციები და თანამედროვე განვითარებები“ - მოცემულ თავში საუბარია საქართველოში მედიაციის ისტორიაზე. საქართველოს უახლესი ისტორია დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, რომლებიც შემდგომ განხილულია მედიაციის კონტექსტში. თავი გვაწვდის ინფორმაციას საბჭოთა კავშირის, პოსტ-საბჭოთა კავშირისა და ვარდების რევოლუციის შემდგომ ვითარებაზე საქართველოში.. ასევე, აღნიშნულია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და არასამთავრობო ერთეულებმა რეგიონში მედიაცია და კონფლიქტის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებები წინ წამოწიეს. აქედან მოყოლებული დაიწყო მისი განვითარება. ამ თავში ასევე აღწერილია მისი განვითარების გზები, საუბარია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მედიაციის კლინიკის დაარსება. ამან ხელი შეუწყო არა მარტო მედიაციის განვითარებას, არამედ მის შესახებ ინფორმირებულობის ზრდასა და კადრების გადამზადება/გაუმჯობესებას (პიერსონი, 2018, 269-280).

საინტერესოა წიგნში განხილული პროექტი, რომელიც საქართველოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დენვერის უნივერსიტეტს შორის განხორციელდა. იგი მიზნად ისახავდა მედიაციის ეფექტურობის გაზრდას და კონფლიქტის

მოგვარების ალტერნატიული გზების დანერგვას. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა მედიაციის გამოყენების საჭიროების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღო როგორც სამართლის, ისე განათლების სექტორმა, ამასთან ერთად გამოიკითხნენ ზოგადად საზოგადოება თბილისის მასშტაბით. ამ კვლევის შესახებ უფრო დეტალურად ქვევით გვექნება საუბარი (პიერსონი, 2018, 269-280).

1.1 მედიაციის ისტორია

მედიაციის წარმოშობის ისტორია მრავალ წელს ითვლის. დოკუმენტურად დასტურდება ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 2600 წლის წინ ადამიანთა საზოგადოება დავის გადაწყვეტის ალტერნატიურ ფორმებს მიმართავდა. აქედან მოყოლებული, მან ფესვები გაიდგა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. თავად ტერმინი მედიაცია ძველ ბერძნული და ლათინური ენებიდან მოდის (medos - მიუკერძოებელი, ნეიტრალური, mederi - გაჯანსაღება, გამოსწორება) (კელტნერი, 1997, 39.50)

მედიაციის ისტორიული საფუძველი მოიძებნება ჩინეთში, სადაც კონფუცის მიერ განვითარებული სოციალური ჰარმონიის იდეა ორიენტირებულია კონფლიქტების კომპრომისის გზით გადაჭრაზე. კონფუცის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ვეცადით, შევინარჩუნოთ სამომავლოდ ურთიერთობები ერთმანეთთან. სწორედ, მედიაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს კონფლიქტების გადაჭრისას კომპრომისზე წასვლა და სამომავლოდ თანამშრომლობის შენარჩუნება. ასევე, აღსანიშნავია ანტიკურ საბერძნეთში მედიაციის როლი ათენსა და სპარტას შორის კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ამ დროს საბერძნეთის სხვა ქალაქები ხშირად გამოთქვამდნენ ხოლმე სურვილს, რომ შუამავლის როლი აეღოთ ამ დავის მოგვარებაში. საბერძნეთში ჯერ კიდევ VI საუკუნეში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც შუამავლის როლს კარგად ირგებდნენ. ასეთი იყო ბერძენი რეფორმატორი

სოლონი, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტების მოგვარებაში პირადად ერეოდა. გარდა ამისა, შუამდინარეთში ასირიელი ვაჭრები ხშირად იყენებდნენ ხოლმე მეთოდებს, რომლებიც ძალიან ჰგავს მედიაციის პროცედურას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხამურამის კანონმდებლობის შექმნის დროს, მორიგება, როგორც დავის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდი, იმ პერიოდისათვის უკვე ცნობილი იყო (კელტნერი, 1997, 39.50).

მედიაცია ევროპაში

X-XI საუკუნეში ნეიტრალური მესამე პირი უკვე აქტიურად იყო ჩართული კონფლიქტების მოგვარებაში. იგი განსაკუთრებით პოპულარული იყო მაშინ, როცა საქმე მეზობელ მამულებს შორის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხებოდა (კელტნერი, 1997, 39.50). პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც მედიატორის მიერ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაზეა, მიღებულ იქნა 1648 წლის 24 ოქტომბერს. ამ მორიგების აქტის დადებაში ვენეციელი დიპლომატები მონაწილეობდნენ (ჰოპტი, 2013, 36). რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი, ევროპაში შემოდის ტერმინი „მედიაცია“, მაგალითად XV საუკუნეში, პაპმა, ურბან VIII-მ მიუნსტერში გაგზავნა წარმომადგენელი, რომელსაც ადგილობრივ კათოლიკეებს შორის კონფლიქტი უნდა მოეგვარებინა. ჩანაწერებში ეს წარმომადგენელი მედიატორის სახელითაა აღნიშნული. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ევროპაში სულ უფრო ხშირად იწყება მედიაციის, როგორც ერთ-ერთი მეთოდის გამოყენება, როგორც ინდივიდუალურ ისე სისტემურ დონეზე. XIX საუკუნეში იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი მესამე, ნეიტრალური მხარის ჩარევით მოგვარდა. ამის მაგალითია ბრიტანეთი, როცა მან მედიატორის როლი ითამაშა 1825 წელს პორტუგალია-ბრაზილიის კონფლიქტის დროს. ასევე მედიატორის როლს ასრულებდა საფრანგეთიც, რომელმაც 1849-1850

წლებში ხელი შეუწყო ბრიტანეთისა და საბერძნეთის კონფლიქტის მოგვარებას. XX საუკუნის მიწურულიდან ევროპაში მედიაცია ინტენსიურად გამოიყენებოდა, როგორც დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტის საშუალება. „ევროპის კავშირის მასშტაბით, მედიაცია აღიარებულ იქნა, როგორც მომხარებელთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის შესამუშავებლად აუცილებელი კომპონენტი“. ეს მოსაზრება კი, მომხარებელთა უფლებების დაცვის ევროდირექტივებშიც ასახეს (კელტნერი, 1997, 39.50).

გერმანია ერთ-ერთი ევროპული ქვეყანაა, რომელმაც მარტივად აუღო ალღო მედიაციის გამოყენებას და ნათლად დაინახა მისი უპირატესობები. გერმანიაში სასამართლო მედიაცია და სასამართლოს გარეთ მოქმედი მედიაცია ერთმანეთისგან დამოუკიებლად მოქმედებენ. მედიაციის აქტი, რომელიც ევროპულ რეგულაციასთან შესაბამისობაშია, ხელს უწყობს დამოუკებელი მედიაციის გამართულად მუშაობას. 2008 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა გერმანიისათვის, რადგან ევროპულმა დირექტივამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დამოუკიდებელი მედიაციის განვითარებას. ეს გამოწვეული იყო სასამართლოს განტვირთვისა და ხარჯების შემცირების გამო (ჰოპტი, 2013, 34). აქედან გამომდინარე, არასამთავრობო სექტორი და სხვადასხვა სახის კავშირები აქტიურად არიან დაინტერესებულები მედიაციით, რაც გამოიხატება მედიაციის ტრენინგების თუ პროცესების ჩატარებით. დიდ გერმანულ ქალაქებში არაერთი ორგანიზაციაა, რომელიც ემსახურება დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტას. მათი მიზანია არამხოლოდ დავების მოგვარება, არამედ მედიაციის პოპულარიზაცია. „საჯარო სამართლებრივი და განსახლების ორგანიზაცია“ (ÖRA) ჰამბურგში მოსახლეებს სთავაზობს მედიაციას ოჯახური კონფლიქტების, ბიზნესსა და შრომასთან დაკავსირებული კონფლიქტების მოგვარებას. მათი მიზანია მამქსიმალურად დამოუკიდებლად მოაგვარონ კონფლიქტები, რომლის შედეგადაც ორივე მხარე დარჩება კმაყოფილი. (hamburg.de, 2019). ასევე, მიუნხენში არსებობს გერმანული მედიაციის უდიდესი ორგანიზაცია „საზოგადოება ეკონომიკისთვის და კონფლიქტის მართვა (gesellschaft für wirtschaftliche and conflict management).

აღნისნული კომპანია ეხმარება, როგორც ინდივიდუალებს, ასევე ჯგუფებს, რომ თავი გაართვან კონფლიქტურ სიტუაციებს, იყონ მეტად თავდაჯერებულები და იქონიონ ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტურ სიტუაციებში. ისინი იყენებენ, როგორც ძველ, ტრადიციულ უკვე კარგად ნაცად მეტოდებს, ასევე უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგად დაფუძნებულ თანამედროვე მეთოდებს. ისინი მონაწილეობენ ოჯახში, ბიზნესში, შრომასა და განათლებაში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. ამასთანავე, ეს ორგანიზაცია დაკავებულია ტრენინგებისა და კურსების ჩატარებით, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს კონფლიქტების მართვის სწავლება, კონფლიქტური სიტუაციიდან თავის დაღწევა და ეფექტურად მოქმედება (maxconflictmanagement.com, 2019). გარდა დიდი ორგანიზაციებისა, გერმანიაში მრავლადაა უფრო ვიწრო სპეციალიზაციის გაერთიანებები, რომლებიც ორიენტირებულები არიან საოჯახო დავების, ბიზნესისა და საჯარო სამართლის სფეროში არსებული დავების მოგვარებით (კელტნერი, 1997). მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში სხვადასხვა აკადემიური პერსონალი თუ ფირმა დიდი ძალისხმევით ცდილობს, გახადოს დავების მოგვარების ალტერნატიული გზა უფრო პოპულარული და სასურველი, არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კომერციული დავების დროს მედიაციას, არბიტრაჟთან შედარებით, ნაკლებად ხშირად იყენებენ. ძირითადად მას იყენებენ მაშინ, როცა სასამართლოს მხრიდან იღებენ რჩევას. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მომსახურების სფეროში მედიაციის გამოყენების სტატისტიკა ყოველწლიურად მატულობს, რასთანაც პირდაპირკავშირშია მედიატორთა სალიცენზიო კურსის გავლის მსურველთა რაოდენობის ზრდაც. არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ გერმანიაში ოჯახური დავების კერძო მედიატორის დახმარებით მოგვარება ყველაზე მოთხოვნად სფეროდ ითვლება. მიუხედავად ჩავარდნებისა, მედიაცია დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება გერმანიაში, რაზეც მეტყველებს ფაქტი, რომ დღესდღეობით მოსამართლეების გარკვეულმა ნაწილმა უარი თქვა საკუთარ პროფესიაზე და მედიატორთა რიგებს შეუერთდა (ჰოპტი, 2013, 38).

ისევე, როგორც გერმანიაში, მედიაციამ ინგლისშიც ღრმად გაიდგა ფესვები. მეოცე საუკუნის მიწურულს, კერძოდ 1999 წელს გატარდა ინგლისური სამოქალაქო საპროცესო სამართლის რეფორმა, სადაც სხვა ძირითად პრინციპებთან ერთად, მედიაცია აღიარებულ იქნა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებად. მედიაციის პოპულარიზაციას ინგლისში ხელი შეუწყო ორგანიზაციებმა: CERD-მა (The center for effective dispute resolution) ADR Group-მა. პროფესიონალ იურისტებთან ერთად, იურიდიული განათლების არმქონე ადამიანები ცდილობდნენ მოსახლეობის მედიაციით დაინტერესებას და მათ წახალისებას, გამოეყენებინათ კონფლიქტის მოგვარების ეს მეთოდი. მათი მცდელობა უკვალოდ არ გაქრა და დღესდღეობით, ინგლისში მედიაცია საკმაოდ ხშირად გამოიყენება. დაარსდა სპეციალური სამსახური "მედიაციასთან დაკავშირებული ცხელი ხაზი", სადაც დარეკვის შემთხვევაში, მოსახლეობას აძლევენ სრულ ინფორმიაც, თუ რა ტიპის პროცედურა უნდა გამოიყენონ ამა თუ იმ კონფლიქტის მოგვარების შემთხვევაში. CERD-ს მონაცემების მიხედვით, მედიაციას უფრო ხშირად მიმართავენ ისეთი დავების მოგვარებისას, როგორებიცაა: პროფესიული დაუდევრობით გამოწვეული ზიანი, მშენებლობა, შრომითი ურთიერთობები, საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავები, სამეზობლო დავები. უნდა აღინიშნოს, რომ დავის მოგვარების ამ გზის პოპულარიზაციაში სახელმწიფოსაც არანაკლებ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვნის, ვინაიდან გადასახადები, რომლებიც საოჯახო დავების დროს ორივე მხარეს ესაჭიროება, დაფარულია მთავრობის მიერ. ინგლისის ამგვარმა პოლიტიკამ კიდევ უფრო უბიძგა საზოგადოებას, სასამართლო დარბაზებიდან მედიაციის კაბინეტში გადანაცვლებისაკენ (parliament.ge, 2013).

მედიაცია აშშ-ში

მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული მოგვარების ერთ-ერთი მეთოდის შემოღებას, მრავალი მეცნიერი აშშ-ს სახელთან აკავშირებს. იგი ჯერ კიდევ

კოლონისტების პერიოდში არსებობდა, თუმცა, სასამართლომ მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ ალტერნატიულ საშუალებად გასული საუკუნის 70-იან წლებში შემოგვთავაზა. ამ ფაქტს საფუძვლად ედო აშშ-ში სასამართლოს მიმართ უნდობლობისა და უკმაყოფილების გაზრდა. გარდამტეხ პერიოდად შეგვიძლია ჩავთვალოთ 1976 წელს გამართული კონფერენცია, სადაც მოსამართლეებმა, ადვოკატებმა და აკადემიურმა პერსონალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამერიკული მართლმსაჯულობის გადატვირთულობა, მეტისმეტად დიდი რესურსები და პროცესის გაჭიანურება უნდა ჩანაცვლებულიყო დავების მოგვარების ალტერნატიული გზით. აქვე დაარსდა აშშ-ს მედიატორთა პირველი ორგანიზაციები, რომლებსაც მალევე მოჰყვა როჯერ ფიშერის წიგნი "Getting to Yes". ამ წიგნში საუბარია მედიაციის სტანდარტებზე. ის აღმოჩნდა პირველი წარმატებული ნაბიჯი მედიაციისაკენ. ოდნავ მოგვიანებით, 1898 წელს შეიქმნა მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პირველი საფუძვლები აშშ-ს კონგრესის მიერ. 1960-იანი წლებიდან კი, როცა ადამიანის უფლებების დაცვა მეტი ყურადღება დაეთმო, მედიაციის გამოყენებაც შესაბამისად გაიზარდა (კელტნერი, 1997). იგი მართლმსაჯულებისთვისაც დადებითი შედეგის მატარებელი აღმოჩნდა, ვინაიდან გაზარდა ნდობა და კმაყოფილება სასამართლოს მიმართ. ამ ყველაფერს ხელი შეუწყეს მედიატორებმა, მოსამართლეებმა და აკადემიურმა პერსონალმა. მათი ძალისხმევის შედეგად, აშშ გახდა პირველი სახელმწიფო, სადაც მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია მოხდა. მას შემდეგ რაც, მე-20 საუკუნის ბოლოდან აშშ-ში სასამართლოს განტვირთვის მიზნით საოჯახო და სამოქალაქო დავებზე მედიაციის გამოყენება დაიწყეს, მედიაცია სასამართლოს პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა. ინგლისის მსგავსად, აშშ-ს სახელმწიფოც მხარს უჭერს მედიაციის გამოყენებას ნებისმიერი სირთულის კონფლიქრის დროს - მათი მხარდასაჭერი სტატუტები და სასამართლო აქტები პერიოდულად იქმდებოდა (ჰოპტი, 2013, 49).

აღსანიშნავია აშშ-ში 1974 წელს ჩატარებული პირველი მედიაცია, რომელიც ვაშინგტონში წყალსაქაჩის უპრეცედენტო მშენებლობას უკავშირდება.

მედიატორებად ჯერალდ კორმიკი და ჯეინ მაკარტი მუშაობდნენ. მათი მიზანი იყო სხვადასხვა სფეროში არსებული კონფლიქტების მედიაციით მოგვარება, ამ პროცესის კვლევა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვა. მედიაციის წარმატება დიდწილად განაპირობა მედიაციის პროფესიონალიზაციის წარმართვამ. 1990-იანი წლებიდან მედიაციის მიმართულებით სასწავლო პროგრამა აშშ-ში თითქმის ყველა უნივერსიტეტის სამართლის სკოლას ჰქონდა. მოგვიანებით, მედიაციის პოპულარიზაციის საქმეში კერძო ფირმებიც აქტიურად ჩაერთვნენ. საგულისხმოა, მე-20 საუკუნის მიწურულს ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც მედიაციით მიღწეულ შეთანხმებას მხარეთა 81% ნებაყოფლობით ასრულებდა, სასამართლო გადაწყვეტილებების დროს კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 48% იყო (კელტნერი, 1997). აქედან გამომდინარეობს, რომ აშშ-ში მედიაცია იყოფა საჯარო და კერძო სექტორებად, ვინაიდან მის პოპულარიზაციაში ორივე მხარე ერთნაირადაა ჩართული. ისევე როგორც სასამართლოები, საკანონმდებლო და იუსტიციის ორგანოები, კერძო ცენტრები, ბიზნესისა და არასამთარობო ორგანიზაციებიც დიდი ინტენსივობით სთავაზობენ მოსახლეობას მედიაციის სერვისს (კელტნერი, 1997).

მედიაცია საქართველოში

საქართველოს მედიაციის ისტორია უძველესი წარსულიდან იწყება. ამ ინსტიტუტს მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, თუმცა, თავად სიტყვა "მედიატორი" მე-19 საუკუნის დამდეგს გაჩნდა საქართველოს ლექსიკონებში. იგი აქამდე არსებულ ტერმინ "ბჭეს" დაემატა და ჩამოყალიბდა ტერმინი "ბჭე-მედიატორი" (prevention.gov, 2015, 1).

დღევანდელობისგან განსხვავებით, ძველად სამართალი, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო შუამავლობის პროცესთან, ურთიერთობისა და შერიგების ხერხთან. მოსახლეობის ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, სადაც მედიატორები ძირითადად მსუბუქი საკითხების მოგვარებით იყვნენ დაკავებულები. თუკი პირუტყვი რაიმეს დააზიანებდა, მედიატორებს უნდა ემსჯელათ და ანაზღაურებაც მათ მიერ მიღებული დასკვნის შესაბამისად უნდა გადახდილიყო. მოგვიანებით შექმნილ დოკუმენტებში უკვე ტერმინები განცალკელებული მნიშვნელობით გვხვდება. მაგალითად "საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვაში" დავით ბატონიშვილი ბჭესა და მედიატორს ერთმანეთისგან ასხვავებს. ბჭეში სოფლის მიერ 1 წლის ვადით არჩული მოსამართლე იგლუსხმება, ხოლო მედიატორს თავად მხარეები ირჩევდნენ ისეთი დავების გადასაწყვეტად, როგორებიცაა საოჯახო ან უმნიშვნელო სამამულო კონფლიქტები. ამ და სხვა სასამართლო წიგნებზე დაყრდნობით, ვიგებთ, რომ ისტორიულ წარსულში მედიაციის მეშვეობით ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო დავები - ოჯახური, ფინანსური, ვალდებულებათა შეუსრულებლობის ხასიათის კონფლიქტები განიხილებოდა. (prevention.gov, 2015, 7) მსგავსად დღევანდელი მედიაციის სტრუქტურისა, რომლის დროსაც მედიაციის პროცესის ბოლო ეტაპზე იდება ნებაყოფლობითი ხელშეკრულება მხარეებს შორის, იმ პერიოდშიც მედიაციის პროცესში მონაწილე ორივე მხარე დებდა ხელწერილს, სადაც ეწერა, რომ თითოეული მათგანი ეთანხმებოდა მიღებულ გადაწყვეტილებას, აპირებდა მის შესრულებას და არ გაასაჩივრებდა სასამართლოში (prevention.gov, 2015). აღსანიშნავია, რომ საქართველოში მედიაციის გამოყენება პრივილეგიებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად მედიატორის არჩევა თავადებს, აზნაურებსა და მსხვილ მოვაჭრეებს შეეძლოთ. ეს ფაქტი მიუთითებს წარსულში მედიაციის მნიშვნელობაზე საქართველოში, რაც თავისთავად დღევანდელ საქართველოში მედიაციის წარმატების საფუძველია (კელტნერი, 1997).

როგორც აღვნიშნეთ, მედიაცია საქართველოში სოციალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. მას მოსახლეობა საბჭოთა კავშირის პერიოდშიც აქტიურად იყენებდა, რაც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმ წყობის სასამართლოს უნდობლობით. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული

საშუალებები ჩვენთან აქტუალური იყო. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოკლედ მიმოვიხილოთ ილია ჭავჭავაძის როლი მედიაციის განვითარებაში. მას შემდეგ, რაც 1686 წელს ილია ჭავჭავაძე დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ, მან განაგრძო დავების მშვიდობიანი გზით მოგვარება. იგი დიდი ძალისხმევით ცდილობდა მედიაციის პოპულარიზაციას საზოგადოებაში, რაც ნაწილობრივ გამოიხატებოდა მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და პუბლიკაციებში. იგი თვლიდა, რომ დროის გასვლასთან ერთად, ურთიერთობები ადამიანებს შორის უფრო მეტად იძაბება, რაც მედიაციის როლის ზრდას მოითხოვს. მაშინ, როცა დავების რიცხვი იზრდება, სასამართლოები ვეღარ ახერხებდნენ გაზრდილი რაოდენობის დავების მოგვარებას, რამაც ხელი შეუწყო მედიაციის პროცესების რიცხვის ზრდას. ილია ჭავჭავაძე ასევე ყურადღებას ამახვილებს სასამართლოს გრძელვადიან პროცესზე და თვლის, რომ მომრიგებლის (მედიატორის) გამოყენება უზრუნველყოფს დროის რესურსის დაზოგვას, სხვა მსგავსებასთან ერთად, ეს საკითხი დღევანდელობაშიც აქტუალურია, ვინაიდან დღეს სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა ისეთივე პრობლემას წარმოადგენს, როგორც წარსულში და დამატებით, სასამართლოები მომლოდინე საქმეებით კვლავ გადატვირთულია. ამ პრობლემის მოგვარებას ილია ჭავჭავაძე მომრიგებელთა დამატებაში ხედავდა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ დავების მშვიდობიანად მოგვარება, მოსახლეობას სამართლათან დააახლოვებდა. იგი მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევდა, რაც მისი სიტყვებით უდაოდ დასტურდება: "ხალხს დავა კი არ უყვარს, დავის მალე გათავება სწყურია". ამ ფრაზაში ჭავჭავაძეს მედიაციის უპირატესობები სრულად აქვს ასახული. იგი თავად უძღვებოდა ხოლმე მომრიგებლობის პროცესებს, თუმცა, მედიაციის კონფიდენციალური ხასიათიდან და საქართველოს ეროვნულ არქივში მასალათა სიმცირიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის მიერ ჩატარებული მხოლოდ ორი საქმეა ნაპოვნი. მწერალმა ორივე შემთხვევაში წარმატებით მოახერხა მხარეთა შორის დავის მოგვარება. ერთ-ერთი მათგანი სწორედ, ოჯახური კონფლიქტის მოგვარებას გულისხმობდა. ურმისში

მცხოვრებმა თიკო თიკო ქოცორაშვილმა საკუთარი ქმრის მრუშობის გამო სასამართლოს განცხადებით მიმართა. ილია ჭავჭავაძე პრპცესის დასრულების შემდეგ საკუთარ ანგარისში აღნიშნავს, რომ ორივე მხარე დაარწმუნა, მოეგვარებითათ დავა შერიგებით, ეპატიებინათ ერთმანეთისათვის წყენა და შეურაცხყოფა, და აღედგინათ ცოლ-ქმრის უფლებები და მოვალეობები. მომრიგებელი პროცესის შემდგომ, წყვილი დათანხმდა ჭავჭავაძის შეთავაზებას, მათ შერიგება გადაწყვიტეს და არსებული დავა სამუდამოდ დაივიწყეს (კეკელია, 1993, 168). ეს შემთხვევა ნათლად საუბრობს იმაზე, რომ გასული საუკუნის წინაც კი, დავის მოგვარების ალტერნატიული გზები წარმატებით ხორციელდებოდა. ასევე საგულისხმოა, რომ მისი გამოყენება უპირატესი იყო სასამართლო პროცესთან შედარებით, რაც მოსახლეობას აძლევდა დროისა და რესურსების დაზოგვის უტყუარ შესძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციას საქართველოს ისტორიაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული, დღეს იგი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში. პირველ რიგში, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობა, შემდეგ კი მისი პოპულარიზაციის არასაკმარისი მცდელობა. თუმცა, ბოლო წლებში, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი ცდილობს წინ წამოწიოს დავების მოგვარების ალტერნატიული გზა. იქნა გადადგმული არაერთი ნაბიჯი მისთვის ცნობადობის ამაღლებისათვის, რასაც უფრო დეტალურად შემდეგ თავში გაგაცნობთ.

1.2 მედიაციის არსი

სხვადასხვა ისტორიულმა გარემოებამ დავების გადაწყვეტის საშუალებების არაერთი განსხვავებული ფორმა და მეთოდი წარმოშვა. აქედან გამომდინარე, რთულია, რომ მედიაციის ტერმინის ზუსტი განსაზღვრება მოვიძიოთ.

მედიაცია ხელს უწყობს მოლაპარაკების პროცესს, რომელსაც პროფესიონალი მედიატორი მართავს. აშშ-ში მედიაციის განმარტებისას ყურადღება გამახვილებულია

იმ ფაქტზე, რომ დავების ალტერნატიული მოგვარება არ მოიცავს სასამართლო პროცესებს. გერმანელი ადვოკატები მედიაციის საინტერესო განმარტებას გვთავაზობენ და თვლიან რომ ეს პროცესი გულისხმობს ინტერესებს პრეტენზიების სანაცვლოდ. საფრანგეთში მედიაციის განმარტება სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიმუშავეს და მედიაციას უწოდეს მეთოდი, რომლის დროსაც მედიატორი ყურადღებით უსმენს მხარეებს, წარადგენს სადავო საკითხთან დაკავშირებულ მოსაზრებებს და ცდილობს დაეხმაროს მათ, შეთანხმებით დაასრულონ კონფლიქტი. რაც შეეხება ინგლისელების განმარტებას, ისინი მედიაციას მოკლედ და მარტივად განსაზღვრავენ - ესაა პროცესი, რომლის დროსაც ნეიტრალური მესამე პირი ორ დაპირისპირებულ მხარეს კონსენსუსის მიღწევაში ეხმარება (jtconsulting-geo, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სახელმწიფო მედიაციის განსხვავებულ განმარტებას გვთავაზობს, საბოლოო ჯამში, მისი საერთო მახასიათებლების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ "მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არ მქონე მედიატორი სისტემატურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა თვითპასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა" (jtconsulting-geo, 2019).

მედიაცია სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული პროცესისგან ძალიან განსხვავდება, ვინაიდან პროცესი ბევრი არაიურიდიული ელემენტის გათვალისწინებით წარიმართება. ის საუკეთესო საშუალებაა კონფლიქტის მენეჯმენტისა და მხარეების მიერ შეთანხმებული გადაწყვეტილებების მონიტორინგისათვის. განსხვავებით სასამართლო პროცესისაგან, მედიაციის დროს, დადებით შედეგს გვაძლევს ემოციების ჭარბად გამოხატვა, ვინაიდან არაფორმალურ გარემოში მხარეები უფრო გულწრფელად საუბრობენ და მოჭარბებული გრძნობები შესაძლოა ემოციური საუბრების დასაწყისის საფუძველი აღმოჩნდეს (jtconsulting-geo, 2019).

მედიაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომუნიკაციის არსებობაა. ფაქტობრივად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კომუნიკაციის გარეშე მედიაცია ვერ იარსებებს, რადგან მხარეთა კომუნიკაციის საფუძველზე ხდება საერთო აზრის ჩამოყალიბება და კომპრომისზე წასვლა. უმეტეს ქვეყანაში აღიარებულია, რომ მედიაცია ეფუძნება ხუთ ძირითად პრინციპს, ესენია: კონფიდენციალურობა, ნებაყოფლობითობა, უფებამოსილებათა მინიჭება, ნეიტრალურობა, გადაწყვეტილების მიღების გზის უნიკალურობა და ორიგინალურობა. აუცილებლად უნდა გავითვალისიწნოთ, რომ ამ 5 პრინციის გარეშე მედიაცია არასრულყოფილია და პროცესით ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს. გარდა ამ ხუთი პრინციპისა, უნდა აღვნიშნოთ მედიაციის წარმართვის ხუთი ძირითადი მიზანი, ესენია:

1. Service delivery - კონფლიქტის საბოლოო მოგვარება უმოკლეს ვადებში.
2. Acces to justice - შედარებით სუსტი მხარის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე კონფლიქტის ორივე მხარისათვის მომგებიანად დასრულება.
3. Individual autnomy - მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის საფუძველზეც მოხდება კონფლიქტის გადაწყვეტის გზების ძიება. გადაწყვეტილების მიღება სამომავლო პერსპექტივებზე დაყრდნობით.
4. Reconciliation - კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის თანამშრომლობის შენარჩუნებას და მათი ურთიერთობების გამყარებას.
5. Social transformation - კონკრეტული კონფლიქტის მოგვარების საფუძველზე საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარება. უფრო ზუსტად, ერთი კონკრეტული დავის სასარგებლო შედეგების უფრო ფართომასშტაბიან პრობლემებთან განზოგადება (jtconsulting-geo, 2019).

1.3 მედიაციის პროცესი

კონფლიქტის დარეგულირება სხვადასხვა დონეზე განსხვავებული მეთოდებით მიმდინარეობს. იგი განპირობებულია კონფლიქტის ინტენსივობის დონით, მხარეთა ურთიერთობებითა და შეთანხმების მიღწევის მზაობით. კონფლიქტების დარეგულირების მეთოდები შეგვიძლია, რომ გავაერთიანოთ კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული გზების (ADR) დასახელების ქვეშ. ეს მეთოდებია: განრიდება, მოლაპარაკება, მედიაცია, არბიტრაჟი, სასამართლო და თვითდახმარება. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, მეთოდების უმეტესი ნაწილი მესამე მხარის ჩარევას მოითხოვს. აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ მედიაციის პროცესი, ვინაიდან ამ დროს პროცესი მთლიანად მესამე მხარეს აქვს გადაბარებული და მინდობილი (ჯორბენაძე, 2012, 12).

მედიაციის პროცესის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი მეტწილად "მოგება-მოგება" პრინციპით მოქმედებს. ამ დროს მოლაპარაკების ორივე მხარე მზადაა, მოაგვაროს არსებული პრობლემა. მხარეები პროცესში მაქსიმალური ჩართულობით გამოირჩევიან, ისინი მოქმედებენ პრინციპით: "თუ არ ვთანხმდები, არ მივმართავ მესამე მხარეს". აქედან გამომდინარე, მედიატორი ვალდებულია სრულად გაერკვეს კონფლიქტის ბუნებაში. იმისათვის, რომ ორ დაპირისპირებულ მხარეს მოგვარდეს დავა, აუცილებელია, რომ მედიატორი აღიარებული იყოს მათ მიერ შუამავლად. მას უნდა ახასიათებდეს მაღალი პროფესიული დონე და პიროვნულად პატიოსანი უნდა იყოს. მის მიერ პროცესის სრულყოფილად წარმართვა სხვადასხვა - გარეგან და შინაგან ფაქტორზეა დამოკიდებული. სიტუაცია არის გარეგანი ფაქტორი. ის გულისხმობს დროს, როცა მედიატორი ერთვება პროცესში. მისი პიროვნული მახასიათებლები კი შინაგან ფაქტორებს განეკუთვნება (ჯორბენაძე, 2012, 20).

როგორც უკვე ვთქვით, მედიაციას აქვს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, რომლს გარეშეც პროცესის წარმართვა შეუძლებელია. მათგან ერთ-ერთია ნდობის ფაქტორი არსებობაბ და კონფიდენციალურობა. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე მთავარი წინაპირობა, რომლითაც მედიაციის პროცესი ხასიათდება. ესენია:

1. მხარეების მოქმედება პირადი სურვილის საფუძველზე. მიუკერძოებელი მესამე მხარის ჩართვა მათივე სურვილის საფუძველზე ხდება. მათ გააზრებული აქვთ, რომ მედიატორი მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარებათ.
2. ეფექტური მოლაპარაკების უზრუნველყოფა - მედიატორი ნეიტრალურობის დაცვით, ხელს უწყობს მხარეებს შორის სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.
3. აუცილებელი პირობა არის ის, რომ მედიაციის პროცესში მოსამართლე არ მონაწილეობს, რაც გულისხმობს, რომ მხარეთა პოზიციები არ განისკება და გაირჩევა დაწესებული კანონის მიხედვით.
4. როგორც უკვე აღვნისნეთ, კონფიდენციალურობა ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რასაც ემატება არაფორმალური გარემოს შექმნა, რაც ხელს უწყობს დავის მშვიდობიან დეესკალაციას.
5. მედიაციის პროცესი უზრნველყოფს დროის რესურსის დაზოგვას (ჯორბენაძე, 2012, 30).

მედიაციის პროცესის დაწყებამდე, სავალდებულოა, რომ გავარკვიოთ, რამდენად ღირს ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის მესამე პირის ჩართვა. თუკი არ მოხდება ამ ფაქტის წინასწარ გარკვევა, დიდი შანსია, რომ წარმართულ მედიაციას არ ჰქონდეს წარმატებული შედეგი. მედიატორს პროცესის დაწყებამდე შრომატევადი საქმიანობის შესრულება უწევს. მან უნდა შეისწავლოს, როგორი იყო კონფლიქტის წინა პერიოდი, გააანალიზოს სადაო საკითხის სირთულე, მოისმინოს მხარეთა აზრი მესამე მხარის ჩართვის თაობაზე და დაინტერესდეს მათი დამოკიდებულებით, აქვთ თუ არა იმის სურვილი, რომ მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარისათვის იქნება მისაღები. და ბოლოს, მედიატორი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს მხარეთა ძალთა ბალანსით (ჯორბენაძე, 2012, 45).

მედიაციის დაწყებამდე აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ გარემო, სადაც უნდა წარიმართოს პროცესი. იმისათვის, რომ შევქმნათ მისაღები და კლიენტებისათვის სასურველი გარემო, უნდა გავითვალისიწნოთ რამდენიმე კონკრეტული რეკომენდაცია. მაგალითად, მედიაციის პროცესისათვის უნდა იყოს გამოყოფილი ორი ოთახი - სასესიო და მისაღები. სასესიო ოთახი შესაბამისად უნდა იყოს მოწყობილი, სადაც უნდა გავითვალისიწნოთ თითოეული დეტალი. ეს ყოველივე ხელს უწყობს მედიაციის პროცესის წარმატებულად განხორციელებას. გარდა ამისა, მედიაციის პროცესის საშუალო ხანგრძლიოვობა 2 საათიდან რამდენიმე დღემდეა, რაც დამოკიდებულია სადაო საკიხის სირთულეზე (ჯორბენაძე, 2012, 45).

მედიაციის პროცესის წარმართვის ეტაპები სხვადასხვა მეცნიერს განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი, თუმცა, ძირითადი იდეა თითოეულ მათგანს საერთო აქვს. შეჯამების სახით, წარმოდგენილია მედიაციის პროცესის ექვსი ძირითადი ეტაპი:

1. მოსამზადებელი პერიოდი - მედიატორის მეშვეობით მხარეები ეცნობიან მედიაციის პროცესის არსს, მუშაობის გეგმას, მედიატორის როლს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.
2. შეხვედრის დაწყება და სადავო საკითხის გამოაშკარავება - მედიატორი ისმენს მხარეების მოსაზრებებს, ცდილობს, მეტად დააკონკეტებინოს საკითხთან დაკავშირებული დეტალები და შესთავაზოს მოქმედების გრაფიკი.
3. შეთავაზებები და საერთო საფუძველზე ფოკუსირება - ეფექტური კომუნიკაციის გამოყენებით, ორივე მხარე აყალიბებს საკუთარ შეთავაზებებს, მედიატორი კი ინტერესთა საერთო საფუძველზე დაყრდნობით, თანმიმდევრულად აყალიბებს შეთავაზებების შეჯამებას.
4. მოლაპარაკების პროცესის დაწყება - ამ ეტაპზე მედიატორს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. იგი ვაჭრობის პროცედურაზე გადადის, ეკითხბა დაპირისპირებულ მხარეებს ალტერნატივის შესახებ და თუკი შესაძლებელია, აფიქსირებს კიდეც შეთანხმებას.

5. გადაწყვეტილების მიღებისკენ სწრაფვა - მედიატორის დახმარებით, მხარეები ცდილობენ, რომ ჩამოაყალიბონ საერთო აზრი კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში. მედიატორი ამ შემთხვევაშიც მთავარ პოზიციაზეა, ვინაიდან იგი გამოყოფს ალტერნატივებს, პრიორიტეტებს და უბიძგებს მხარეებს, სწორი გადაწყვეტილებისაკენ.
6. გადაწყვეტილების მიღება და მისი დოკუმენტალურად გაფორმება - ეს არის მედიაციის პროცესის საბოლოო ეტაპი. ამ დროს მედიატორი კიდევ ერთხელ აცნობს მხარეებს გადაწყვეტილებას, იღებს მაღგან დადასტურებას და ხდება მიღებული შეთანხმების ოფიციალურად გაფორმება (ჯორბენაძე, 2012, 50).

საბოლოო ჯამში, მესამე მხარის ჩართულობით, ორი დაპირისპირებული მხარე, საკუთარი სურვილის გათვალისწინებით, ახერხებს, მივიდეს შეთანხმებამდე. ისინი საკუთარ პოზიციებს ინტერესებად გარდაქმნიან და მზად არიან, წავიდნენ კომპრომისზე. მედიატორი კი, თავის მხრივ, ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით, ცდილობს გაუკვლიოს გზა მხარეებს სწორი გადაწყვეტილებისაკენ. საბოლოოდ, მათი შეთანხმება ხელშეკრულების დადებით დასტურდება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების დადებაც ნებაყოფლობითია და მას არ აქვს არანაირი იურიდიული ძალა (ჯორბენაძე, 2012).

1.4 დოკუმენტების ანალიზი

ახალი კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“ მუშაობდა ევროკავშირის/EU4Justice და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი, USAID/PROLoG-ისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ჩართულობითა და ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ თავად საკანონმდებლო პროცესი და კონსულტაციები მიმდინარეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში (parliament.ge, 2019).

კანონის პროექტში განხილულია საკითხები, რომლებიც შეეხება მედიაციის პრინციპებს, მედიატორთა შერჩევისათვის გასათვალისწინებელ გარემოებებს, მათი საქმიანობის ანაზღაურების წესს, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასა და საქმიანობის შეზღუდვის პირობებს, ასევე მედიაციის წარმართვის პროცესსა და კონფიდენციალობის დაცვის აუცილებლობას (parliament.ge, 2019).

ნაშრომში მოხმობილი და განხილულია რამდენიმე მაგალითი. მათ შორის საუბარია გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ვეთანხმები კანონპროექტში მოცემულ მე-10 პუნქტის მე-8 მუხლს იმის შესახებ, რომ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მედიატორს შეუძლია შესთავაზოს მორიგების პირობები მხარეთა ინტერესებისა და მედიაციის პროცესში მათ მიერ გამოხატული პოზიციების გათვალისწინებით. ბუნებრივია მას არ უნდა ჰქონდეს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება მხარეთა შორის არსებულ დავაზე (parliament.ge, 2019).

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასა და საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ მედიატორი იმავე საქმეზე ან არსებითად მასთან დაკავშირებულ სხვა საქმეზე არ შეიძლება მონაწილიეობდეს წარსულში ან მომავალში სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ სხვა მსგავს პროცესში მოსამართლედ, ნაფიც მსაჯულად, პროკურორად, გამომძიებლად, სასამართლო სხდომის მდივნად, არბირტად ან ექსპერტად, ან ჩართული იყოს საქმეში სახელმქიფო მოსამსახურედ (მუხლი 6, პუნქტი 3). მოცემულ ჩამონათვალში არ არის დაკონკრეტებული შეუძლია თუ არა იმ საქმიანობის განხორციელება ადვოკატს, რისი უფლებაც არ აქვთ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს. ვინაიდან კანონის ფარგლებში ეს არ იკრძალება, შესაძლებელია პრაქტიკული თვალსაზრისით დასაშვები იყოს, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს (parliament.ge, 2019).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მე-10 მუხლი კონფიდენციელობის ვალდებულების შესახებ, რომლის მე-2 პუნქტის მიხედვითაც ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მედიაციის მონაწილეების მიერ სასამართლო ან

საარბიტრაჟო წარმოების დროს, ან დავის სხვა ნებისმიერი საშუალებით განხილვის პროცესში თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მედიატორს ეკრძალება მეორე მხარეს მიაწოდოს მისთვის ინდივიდუალური კომუნიკაციის შედეგად გამჟღავნებული ინფორმაცია, თუ მას შესაბამისი მხარისგან მიღებული აქვს აშკარა თანხმობა ინფორმაციის მეორე მხარისთვის მიწოდების შესახებ, ბუნებრივია ეს შესაძლებელია. საჭიროდ მივიჩნევ არსებულ გამონაკლისს კონფიდენციალობის ვალდებულების შესახებ მუხლში, რომლის მიხედვითაც მედიატორს შეუძლია ინფორმაციის გაცემა თუ საქმე ეხება პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების უზრუნველყოფას, ასევე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვას. გარდა ამ შემთხვევებისა, ვფიქრობ აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვამედიაციის დასრულების შემდეგაც, თუ მხარეებსა და მედიატორს შორის წერილობითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. რაც მოცემულია ასევე კონფიდენციალობისვალდებულების შესახებ მუხლში მე-6 პუნქტის სახით (parliament.ge, 2019).

რაც შეეხება ანაზღაურების წესს, ვფიქრობ მართებულია, რომ თითოეული მხარის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება თავად ამ მხარეს, ხოლო მედიაციის პროცესთან დაკავშირებული საბოლოო ხარჯები მათ შორის ნამდვილად თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს, რაც აისახება კიდეც მოცემული კანონპროექტის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში. ასევე მისაღებია, რომ სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორს ეკისრებოდეს ვალდებულება ყოველი წლის განმავლობაში საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ მიწოდებულ, სასამართლო მედიაციის პროგრამით განსაზღვრული ოდენობის დავებზე სასამართლო მედიაციის პროცესი წარმართოს ანაზღაურების გარეშე (parliament.ge, 2019).

რაც შეეხება მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხვის საკითხს, ადვოკატების მედიატორთა ერთიან რეესტრში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ვფიქრობ მათთვის სავალდებულო უნდა იყოს მედიაციის ტრენინგის გავლა და საქართველოს

მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემული სერთიფიკატის ფლობა, ვინაიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენინგის გავლა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული სერთიფიკატი არ არის საკმარისი ცოდნისა და უნარების დამადასტურებელი დოკუმენტი იმისათვის, რომ ადვოკატი ჩაერთოს სამედიატორო საქმიანობაში (parliament.ge, 2019).

კანონპროექტში აშკარად შეიმჩნევა მცდელობა ევროპული პრაქტიკის გადმოღებისა. ევროპული გამოცდილების გაზიარება მიუღებელი ნადმვილად არ არის, თუმცა ის აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისობაში საქართველოში არსებულ რეალურ ვითარებასთან ამ თვალისაზრისით. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს მედიაციის ინსტიტუტების ხელახლა დამკვიდრებისათვის ევროპულ ქვეყნებში ევროპარლამენტმა მიიღო შესაბამისი დოკუმენტი, რის შემდეგაც 2008 წელს გამოიცა ევროპული დირექტივა, რომლის მიზანიც იყო მართლმსაჯულების სფეროში ინსტიტუციური თანამშრომლობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (parliament.ge, 2019).

მოცემული კანონპროექტიდან ჩანს, რომ გარდა იმისა, რომ მისი მიღების აუცილებლობას განაპირობებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, მედიაციის განვითარების ხელშეწყობა განპირობებულია სასამართლო სისტემაში სამოქალაქო დავების სიმრავლის კუთხით სასამართლოების გადატვირთულობის გამო. ვინაიდან მედიაცია არის დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, რომელიც შესაძლებელს ხდის მხარეების მორიგებას სასამართლო პროცესის გარეშე, სასურველია რომ სამედიატორო საქმიანობის რეგულირების სფეროც მჭიდროდ არ იყოს დაკავშირებული სასამართლოსთან, ხოლო მედიატორებად გვევლინებოდნენ არა მხოლოდ იურიდიული განათლებისა და სასამართლო პრაქტიკის მქონე პირები, არამედ ადამიანები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სურვილი, უნარები, და გამოდილება წარმართონ მედიაციის პროცესი ნაკლები დროისა და ფინანსური დანახარჯებით და

მხარეთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, ე.წ „მოგება-მოგების“ პრიცნიპით (parliament.ge, 2019).

ვფიქრობ, რომ მედიაცია უნდა გამოიყენებოდეს პირველ რიგში არა სასამართლოს ეფექტიანი განტვირთვის მიზნით, არამედ იმისათვის, რომ საზოგადოებაში დაინერგოს დავების გადაჭრის ალტერნატიული მეთოდების, ამ შემთხვევაში, მედიაციის გამოყენების პრაქტიკა, რათა თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული დავა გადაწყვიტოს ისე, რომ არ იყოს იძულებული მიმართოს სასამართლოს, ხოლო სადავო საკითხი გადაჭრას მოდავე მხარესთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, უფრო ნაკლები დროისა და ფინანსური რესურსების გამოყენებით. სახელმწიფომ კი, თავისთავად ხელი უნდა შეუწყოს მედიაციის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნას და იმ პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც ჩაერთვებიან დავაში მესამე მხარის, მედიატორის სახით და დაპირისპირებულ მხარეებს დაეხმარებიან პრობლემის მოგვარებაში ისე, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ორივე მხარის ინტერესები იქნას გათვალისწინებული.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, განვიხილოთ კვლევა - „საზოგადოებაში მედიაციის ინფორმირებულობის გაზრდის შესახებ“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიაციის კლინიკის მიერ, 2010 წელსაა ჩატარებული. კვლევის მეთოდოლოგია შედგება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდებისგან. გამოყენებულია ფოკუს ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ და გამოკითხვა. კვლევას რამდენიმე ძირითადი მიზანი აქვს. თვისებრივი მხარე ემსახურება სასამართლო გამოცდილების გამოკვლევას სამეზობლო, ოჯახის, ბიზნესისა და განათლების სფეროში არსებულ კონფლიქტებში მედიაციის როლზე. კვლევის მიხედვით, მოსამართლეები და სამართლის პროფესორები მკაფიოდ ხედავენ მედიაციის საჭიროების არსებობას. სიღრმისეულმა ინტერვიუებლა გამოავლინა, რომ მედიაცია საშუალებას გვაძლებს სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელებისათვის,

იგი უზრუნველყოფს შემთხვევის არასამართლებრივ, ფსიქოლოგიურ ანალიზს, მედიაცია ხელს უწყობს სასამართლოებში გადატვირთულობის პრობლემის ზრდის შეჩერებას. მისი გამოყენება შესაძლებელია კვლევის ნებისმიერ ნაწილში.მისი ერთ-ერთი უპირატესობაა კონფიდენციალურობის დაცვა. იგი კარგი მეთოდია დროის დაზოგვისათვის. მედიაცია აღწევს ხანგრძლივ შედეგს სასამართლოსგან განსხვავებით (Community Needs Assessment Survey, 2007).

კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა ფოკუს ჯგუფები, რაც მიზნად ისახავდა გამოეკვეთა კონფლიქტის ტიპები საქართველოში განათლების სექტორში, მედიაციის შესაძლო გამოყენება სკოლებში. შედეგად, მივიღეთ ის, რომ მედიაციის გამოცდილება საქართველოში ჯერ კიდევ აქტუალური არ არის (Community Needs Assessment Survey, 2007).

მედიაციის კლინიკის კვლევის მესამე ნაწილი ეთმობა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოკითხვის გამოყენებას. კვლევაში გამოკითხულთა უმეტესობამ იცის მედიაციის არსებობის შესახებ, და ფიქრობენ, რომ მისი წარმართვა წარმატებულად ჩაივლის (Community Needs Assessment Survey, 2007).

კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ, მედიაციის კლინიკა გვაძლევს რამდენიმე მნიშვნელოვან რჩევას - აუცილებელია, ვიმუშაოთ საზოგადოების აზრზე, მოსახლეობას უნდა მივაწოდოთ სრული ინფორმაცია მედიაციის შესახებ. ეს მეთოდი უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, და მასწავლებლებიც კონფლიქტების მოგვარებისას აუცილებლასდ უნდა იყენებდეს მედიაციას (Community Needs Assessment Survey, 2007).

1.5 მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მას შემდეგ, რაც მედიაციის როლი დღევანდელობაში უფროდაუფრო იზრდება, მსჯელობა მის დადებით და უარყოფით მხარეებზე სულ უფრო აქტუალური ხდება.

პირველ რიგში, სასამართლო განხილვასთან და არბიტრაჟთან შედარებით, მედიაციის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაკავშირებულია ნაკლებ

დანახარჯებთან, აქვს სწრაფი მოქმედების უნარი, არის კონფიდენციალური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. მედიაცია გვეხმარება არა მარტო დავის აღმოფხვრაში, არამედ იგი ხელს უწყობს დავების პრევენციას. მაგალითად, თუკი დასაწყისშივე ორივე მხარე ხედავს, რომ პრობლემები აქვთ, მედიაციით შესაძლებელს ხდიან, იპოვონ არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და თავიდან აიცილონ კონფლიქტის ესკალაცია. მედიაციის კიდევ ერთი დადებითი მხარეა ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოება, რაც ხელს უწყობს სამომავლო თანამშრომლობის შენარჩუნებას. პროცედურა ნაკლებ ვალდებულებებს გულისხმობს, რაც ორივე მხარისათვის მეტი თავისუფლების მიმცემი ხდება. მათ შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ მედიაცია და მიმართონ დავების მოგვარების სხვა საშუალებას, თუმცა, ეს ფაქტი დადებითად აისახება პროცესის შედეგებზე, რადგან არაფორმალური და თავისუფალი გარემო ორივე მხარეს უფრო გულწრფელს ხდის. სხვა იურიდიული საშუალებებისგან განსხვავებით, მედიაციის გამოყენება ბევრად უფრო ფართო წრის მიმართაა შესაძლებელი. თუკი სასამართლოს დავების მოგვარება შეუძლია მხოლოდ კონკრეტული მატერიალური მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ობიექტური მტკიცებულებებითაა გამყარებული, მედიაციის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი კონფლიქტის პროცესში. ამასთან ერთად, მედიაციის დროს გადაწყვეტილების მიმღებნი თავად მხარეები არიან, რაც მათ მეტ თავისუფლებას ანიჭებს. ბუნებრივია, მედიაციით ყველა დავის მოგვარება შეუძლებელია. არსებობს საკითხები, რომლებსაც უთუოდ ესაჭიროება არბიტრაჟისა თუ სასამართლოს ჩარევა. მას ვერ გამოვიყენებთ, თუკი მხარეებს შორის ბალანსი არაა დაცული. აშკარაა, რომ მხარე, რომელსაც სასამართლო პროცესზე გამარჯვების იმედი აქვს, დროს, ენერგიასა და ფინანსებს არ მოახმარს მედიაციის გამოყენებას. მედიაციის ერთ-ერთი ძირითადი უარყოფითი მხარე არის მისი გადაწყვეტილების არასავალდებულო ხასიათი. მეცნიერების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ თუკი მედიაციამ მარცხი განიცადა, ეს აღმოჩნდება ფულისა და დროის უსარგებლო ხარჯი

მხარეებისათვის. არბიტრაჟით დაკავებული იურიტები თვლიან, რომ მედიაცია ხდება ხელისშემშლელი ფაქტორი მათთვს, ვისაც სურს აზრის თავისუფლად ჩამოყალიბება.

მედიაციის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს მისი გავრცელების შეზღუდული მასშტაბები და მოსახლეობის ინფორმირებულობა. სკეპტიკოსები თვლან, რომ მედიატორთა როდენობა უფრო მედია ვიდრე თვით მედიაციის პრეცედენტების (ge.undp.org, 2019).

თავი II. საქართველოში არსებული პრაქტიკა დღეს

XXI საუკუნეში საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება კონფლიქტების მოგვარების გზებიც. თუ წლების წინ სასამართლო ითვლებოდა ერთადერთ და უკონკურენტო ორგანოდ კონფიქტების გადაწყვეტისათვის, დღეს რეალობა შეცვლილია. არბიტრაჟმა და მედიაციამ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი აშშ-სა და ევროპაში ღრმად გაიდგა ფესვები. ოჯახურ, სამეზობლო, ბიზნესს და შრომით დავებს მედიაციის დახმარებით ბევრად უფრო ნაკლები ფინანსური რესურსითა და მცირე დროის გამოყენებით აგვარებენ. ამ და სხვა უპირატესობების გამო, დასავლური საზოგადოება თანხმდება აზრზე, რომ მედიაცია, როგორც დავების ალტერნატიული მოგვარების ერთ-ერთი მეთოდი, რიგ შემთხვევებში კონფლიქტს უკეთესი შედეგებითა და საშუალებებით აგვარებს (ge.undp.org,2019).

ევროპულ და ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, საქართველოს აქვს უნარი და სურვილი, უფრო აქტიურად ჩაერთოს მედიაციის, როგორც პოპულარიზაციაში, ისე მის გამოყენებაში. აქედან გამომდინარე, როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორები ძალისხმევას არ იშურებენ მედიაციის პრაქტიკაში დანერგვისათვის

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია „გაუმჯობესებული მედიაცია და არბიტრაჟი დავების უფრო სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტისათვის“. ეს პროექტი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივაა. ისინი საქართველოს მთავრობასთან, სასამართლო სისტემასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. მათ მიზანს წარმოადგენს კომერციულ დავებში არბიტრაჟისა და მედიაციის გამოყენების ხელშეწყობა, ასევე, ქართველი არბიტრებისა და მედიატორების პროფესიული განვითარება. აღნიშნული პროექტი 2019-2020 წლებში, ევროკავშირის ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის, EU4BUSINESS-ის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. პროექტის ბიუჯეტი 850 ათასი ევროა. იგი პირველად საჯაროდ წარადგინეს 2019 წლის 20 თებერვალს. ღონისძიებას ესწრებოდა, როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი, ასევე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილე კატალინ გერმანი და საქართველოში UNDP-ის ხელმძღვანელი ლუიზა ვინტონი. სამივე მათგანმა ღონისძიების გახსნისას ისაუბრა დავების ალტერნატიული გადაჭრის გზების აუცილებლობაზე და საქართველოში ამ მეთოდების განვითარების მნიშვნელობაზე (ge.undp.org,2019).

პროექტი „გაუმჯობესებული მედიაცია და არბიტრაჟი დავების უფრო სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტისათვის“ ორ ძირითად სფეროს მოიცავს. პირველი გულისხმობს არბიტრაჟისა და მედიაციის გამოყენებისა და ხარისხის ზრდას შესაბამისი ინსტიტუტების მეშვეობით. მეორე სფერო კი მოიცავს მედიატორების არბიტრების, იურისტებისა და სასამართლოს თანამშრომლების კვალიფიკაციის გაზრდას, ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის. პროექტის განხორციელებისა და დასრულების შემდეგ, მისი ორგანიზატორები ელიან, რომ მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ კანონები უფრო ეფექტურად განხორციელდება, გაძლიერდება მათი ინსტიტუტები, გაიზრდება დამოუკიდებელი მედიაციისადმი მოთხოვნა,

კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების ინსტიტუციონალიზაციის გზით, მოხდება კვალიფიციურ მედიატორთა გაზრდა (ge.undp.org,2019).

პროექტი „გაუმჯობესებული მედიაცია და არბიტრაჟი დავების უფრო სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტისათვის“ არ არის პირველი და ერთადერთი ინიციატივა მედიაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. 2018 წლის 21 ნოემბერს, თბილისში გაიხსნა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია „მედიაციის დღეები 2018“. ამ კონფერენციას მხარს უჭერს ევროკავშირი და გაეროს სამი სააგენტო, რომლებიცაა: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (ILO) და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women). 2018 წლის კონფერენციას ასევე სტუმრობდა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა. მათთან ერთად კონფერენციას ესწრებოდა 100-ზე მეტი მონაწილე, მათ შორის მედიაციის წამყვანი ექსპერტები და პრაქტიკოსები დიდი ბრიტანეთიდან, ჰოლანდიიდან, ისლანდიიდან, ავსტრიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან. გარდა უცხოური ექსპერტებისა და პრაქტიკოსებისა, კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი მედიატორები, მოსამართლეები, პროკურორები, სოციალური მუშაკები, ჩვენი ქვეყნის მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციიების წარმომადგენლები (ge.undp.org,2019).

კონფერენცია “მედიაციის დღეები 2018“-ის ფარგლებში, მოქალაქეებმა განიხილეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული მედიაციის პროცესები. კონფერენციის მსვლელობისას, მონაწილეებმა ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გენდერის როლი მედიაციაში, კოლექტიური შრომითი დავების მოგვარება და საჯარო სამსახურში მედიაციის დანერგვის პერსპექტივები. საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მართლმსაჯულების პროგრამის მენეჯერმა ძალიან საინტერესო და ჩვენთვის სასიხარულო განცხადება გააკეთა:

„მედიაციის გამოყენების გაზრდა ევროკავშირისა და საქართველოს შეთანხმების ნაწილია. ჩვენი პროექტების მეშვეობით ევროკავშირი მხარს უჭერს სამართლიანი,

ხარისხიანი და ეფექტიანი მედიაციის განვითარებას“, - პიტერ დენისი (ge.undp.org,2019).

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში მედიაციაში არსებულ პრაქტიკაზე, აუცილებელია, მიმოვიხილოთ ის ორგანიზაციები თუ ცენტრები, რომლებიც დავის ალტერნატიულ მოგვარებას ემსახურებიან. ასეთია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული “დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი”. იგი დაარსდა ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს ხელშეწყობით. მისი შექმნის თარიღია 2011 წლის 10 ოქტომბერი. ცენტრის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში დავების ალტერნატიული მოგვარების საშუალებების დანერგვა და განვითარება კვლევისა და მომსახურების მეშვეობით. მათთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სტუდენტებისათვის პროფესიული ცოდნის ამაღლება, ამიტომ ისინი ხელს უწყობენ კლინიკური და პროფესიული უნარების განვითარებას, განსაკუთრებით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. გარდა ამისა, ისინი მონაწილეობენ სამართლის პროფესორებისათვის სწავლების მეთოდების განვითარებაში და ცდილობენ, დავების ალტერნატიული მოგვარების შესახებ აკადემიური ცნობები და ლიტერატურა გახადონ ბევრად უფრო ხელმისაწვდომი (ncadr.tsu, 2019).

იმისათვის, რომ დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულმა ცენტრმა სისრულეში მოიყვანოს საკუთარი მიზნები, ის ახორციელებს მრავალ საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც ჩართულები არიან სტუდენტები, პროფესორები და პრაქტიკოსები. მათი მისიის ფარგლებში, ეწყობა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კვლევითი შეხვედრები, სემინარები, საჯარო ლექციები და ტრენინგები, რომელთა ხელმძღვანელებიც, როგორც ქართველი ისე უცხოელი ექსპერტები არიან. გარდა ამისა, ცენტრი ყოველწლიურად მართავს საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, სადაც იწვევენ უცხოელ აღიარებულ ექსპერტებს.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ცენტრი როგორც ქართველი, ისე ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის მართავს იმიტირებულ მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესებს, რაც სტუდენტებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა (ncadr.tsu, 2019).

გარდა ზემოაღნიშნულისა, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი სხვადასხვა წერითი ნაშრომების გამოქვეყნებაზეც მუშაობს. იგი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში ორეროვან სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულების ჟურნალს გამოსცემს. ამასთანავე, ჩატარებული კონფერენციების შესახებ ბეჭდვით გამოცემებს აქვეყნებს. საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, ეს ცენტრი ატარებს კვლევებს, რომლებიც შეისწავლის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული მოდელის ეფექტურ დანერგვას (ncadr.tsu, 2019).

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნულ ცენტრში მედიაციისა და იურიდიული დახმარების კლინიკა ფუნქციონირებს. მის ფუქნციონირებასთან ერთად, ცენტრი ცდილობს, მედიაციის პოპულარიზაციას, რათა საზოგადოება უფრო მეტად გახადოს ინფორმირებული მედიაციის პროცესთან დაკავშირებით (ncadr.tsu, 2019).

უდაოდ, ცენტრი დიდ როლს ასრულებს საქართველოში მედიაციის განვითარებაში, იგი ახორციელებს როგორც მედიაციის პროცესს, სხვადასხვა პროექტით ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას, ისე აბამს მნიშვნელოვან კავშირებს მედიაციის უცხოურ ცენტებთა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დღეს ძალიან აქტუალურია მედიაციის განხილვა, როგორც სამართლის სფეროდან დამოუკიდებელი პროცესი, “დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი” ძირითადად ორიენტირებულია სამართალმცოდნეობის სტუდენტების განათლების გაღრმავებაზე. ისინი ნაკლებად ცდილობენ, უზრუნველყონ განათლების მიცემა ყველა იმ პირისათვის, ვინც დაინტერესებულია მედიაციის შესწავლით. ვფიქრობ, ასეთი სერიოზული ცენტრისათვის, ასე მკვეთრად სამიზნე ჯგუფის გამოყოფა, მათ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. მაშინ, როცა მსოფლიო თანხმდება აზრზე, რომ კარგი მედიატორობა

სულაც არ საჭიროებს იურიდიულ განათლებას, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი იურისტებისათვის პრივილეგიების მინიჭების ნაცვლად, სხვა პროფესიის მედიატორობით დაინტერესებული სტუდენტების წახალისებას უნდა ცდილობდეს (ncadr.tsu, 2019).

საქართველოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, რომელსაც წვლილი შეაქვს მედიაციის განვითარების საქმეში, არის "საქართველოს მედიატორთა ასოციაცია". ეს ცენტრი 2015 წელს შეიქმნა და დღეისათვის, 200-მდე მედიატორია და მედიაციით დაინტერესებული პირებისგან შედგება. მისი შქმნის იდეა დაებადათ ადამიანებს, რომელთაც აერთიანებდათ მედიაციის სფეროსადმი ინტერესი. ამ ცენტრის შექმნის მთავარ საფუძველს წამოადგენდა, შექმნილიყო მედიაციის განვითარების ხელშემწყობი მთავარი პლატფორმა, რომლის შემდეგაც მომუშავე პირები არამხოლოდ განავითარებდნენ მედიაციაში გამოსაყენებელ უნარებს, არამედ შეიმუშავებენ და აღასრულებენ მედიატორთა ქცევის წესებს, ასევე ხელს შეუწყობენ მედიატორთა სწავლებასა და აკრედიტაციას. მსგავსად "დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრისგან", საქართველოს მედიატორთა ასოციაციაც თანამშრომლობს უცხოურ დონორებთან. ასოციაცია პირველი დღიდანდე აქტიურად მუშაობს მედიაციის შესახებ საქართველოს კანონისა და მედიატორთა ეთიკის კოდექსზე. "დავების ალატერნატიული გადაწყვეტის ცენტრისგან განსხვავებით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანება შეუძლია ყველას, ვინც აკმაყოფილებს ასოციაციის მოთხოვნებს (mediation.ge, 2019). "ჯი ენდ თი ქონსალთინგი" კიდევ ერთი იურიდიული კომპანიაა, რომელიც ახალგაზრდა ქართველი იურისტების მიერ 2008 წელს დაარსდა. ამ ფირმაში დასაქმებული იურისტები საქმიანობენ კერძო და ადმინისტრაციულ სამართალში. უმეტესად მათი კლიენტები მეწარმე სუბიექტები არიან, განსაკუთრებით მათ მომსახურებას იყენებენ უცხოური ან უცხოელთა მიერ საქართველოში დაფუძნებული კომპანიები. აღსანისნავია, რომ ისინი ხშირად თანამშრომლობენ საერთაშორისო იურიდიულ კომპანიებთან, ამიტომ სულ ჩართულნი არიან გლობალურ სამართლებრივ პროცესებში. გარდა პრაქტიკული

მხარისა, ჯი ენდ თი ქონსალთინგი თავისი პერსონალის აკადემიური მხარის განვითარებასაც აქტიურად ცდილობს. ისინი ატარებენ სხვადასხვა სახის ტრენინგებს, რომელთა მეშვეობითაც აამაღლებენ მომუშავე პერსონალის პროფესიულ დონეს. არბიტრაჟისა და იურიდიული დახმარების გარდა, "ჯი ანდ თი კონსალთინგი" კლიენტების მედიაციის მომსახურებასაც სთავაზობს. ეს იურიდიული ფირმა აღიარებს მედიაციის უპირატესობებს და მზადაა, უზრუნველყოს მხარეთა შეთანხმება დავების ალტერნატიული მოგვარების ამ მეთოდით. მათ სამოქმედო გეგმაში გაწერილია მედიაციის პროცესის თითოეული ეტაპი დაწყებული მედიაციის მოთხოვნიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს იმ დოკუმენტების შენახვაზე, რომლებიც კავსირშია მხარეებთან. ეს დოკუმენტები უნდა მიიღონ პატრონებმა უკან ან განადგურდნენ. გარდა ამისა, გეგმაში გაწერილია მედიაციის პროცესის საფასური დეტალურად. მედიაციის ღირებულება 100$-დან იწყება, რაც კიდევ ერთხელ აზუსტებ იმ ფაქტს, რომ სასამართლოსთან შედარებით მისი გამოყენება ბევრად უფრო იაფია. მსგავსად ზემოათ აღნიშნული კომპანიებისა, ეს კომპანიაც ორიენტირებულია, რომ მედიატორებად მხოლოდ იურიდიული განათლების პირები ყავდეთ. სამწუხაროა, რომ განვითარების ასეთი სწრაფი ტემპების მიუხედავად, დღეს არსებული კომპანიები კვლავ ტრადიციული მიდგომებით მოქმედებენ (jtconsulting-geo,2019).

აღნიშნული თემის დასკვნით ნაწილში აუცილებელია, ვახსენოთ არასამთავრობო ორგანიზაცია "მედიაციის ცენტრი", რომელიც 2012 წელს დაარსდა. იქიდან გამომდინარე, რომ ცენტრი ჯერ მხოლოდ რამდენიმე წელია, მოღვაწეობს, ნაკლებად პოპულარულია საქართველოში და საჭიროებს კიდევ უფრო მეტ განვითარებას. იგი მიზნად ისახავს მედიაციის განვითარებას სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. ორგანიზაციის წევრებს სურთ, დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ინტეგრაცია სამართლებრივ სისტემაში, საზოგადოებაში მედიაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, განატლების სისტემაში მედიატორების მომზადებისათვის საჭირო სასწავლო კურსის ორგანიზება.

“მედიაციის ცენტრი” არის ჩვენ მიერ აღნიშნული ერადერთი ორგანიზაცია, რომელიც არ მოითხოვს კონკრეტულად იურიდიულ განათლებას და არ მოქმედებს გარკვეული სპეციალიზაციის ჭრილში. იგი მიზნად ისახავს ისეთი კონფლიქტების მოგვარებას, როგორებიცაა საოჯახო, სამეზობლო, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული, გარე და შიდა კორპორატიული, საბანკო-დასაზღვეო, საავტორო უფლებები, საგანმანათლებლო სფერო, შრომითი და იჯარასთან დაკავშირებული დავები. ვფიქრობ, საქართველოში მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობა უკვე დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან გამოცდილების დაგროვება და ძალისხმება, რომ მედიაცია გახადონ პოპულარული საზოგადოებისავის, საბოლოოდ გამოიღებს სასურველ შედეგს (wordpress.com, 2019)

თავი III. კვლევის ანალიზი

3.1 კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და კონფლიქტის მსვლელობა

კვლევის მანძილზე ჩატარებული რვა სიღრმისეული ინტერვიუსა და ერთი დისკურსის საფუძველზე, გამოვლინდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტი კონფლიქტთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ, კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ თბილისის მოსახლეობა, შესაბამისად, ინტერვიუებშიც ეს რესპონდენტები მონაწილეობდნენ.

კონფლიქტის გამომწვევი ძირითადი მიზეზი სხვადასხვა ინტერესის არსებობა და საკუთარ პოზიციებზე მყარად დგომაა. თითოეული კონფლიქტის ესკალაცია სწორედ მაშინ განხორციელდა, როცა რესპონდენტები თვლიდნენ, რომ საკუთარი მოსაზრებები იყო მხოლოდ სწორი და გამართლებული, მეორე მხარეს ინტერესებს კი ნაკლებ ყურადრებას აქცევდნენ.

კონფლიქტის მსვლელობის მსგავსი ტენდენციები შეინიშნება. მხარეები თავდაპირველად თავის შეკავებას ამჯობინებენ, ცდილობენ, აიტანონ დაძაბული ურთიერთობა, რათა მოერიდონ კონფლიქტს, თუმცა, როცა დაძაბულობა პიკს აღწევს და ურთიერთობა სულ

უფრო რთულდება, ისინი გადადიან თავდაცვის რეჟიმზე და უწევთ საკუთარი ინტერესების თავად დაცვა, რაც გამოიხატება მათ მიერ სიტუაციის ახსნით - კომუნიკაციით. აქ შეგვიძლია გამოვყოთ კონფლიქტის ესკალაციის ერთ-ერთი ტრანსფორმაცია, რომელიც აღნიშნულია ლიტერატურის მიმოხილვაში საიმონ ფიშერის წიგნში. კერძოდან - ზოგადისკენ ზუსტად ასახავს არსებულ სიტუაციას, ვინაიდან თავდაპირველად ერთი პრობლემით დაწყებული კონფლიქტი უფრო ფართო მასშტაბებს აღწევს.

მეორე მხარის რეაგირება კონფლიქტის დროს ძირითადად ორად იყოფა. ის ან სრულად ინდიფერენტულია, ცდილობს, კომუნიკაციისათვის თავის არიდებას და შესაბამისად, აიგნორებს პირველი მხარის მოთხოვნებს, ან პირიქით - შეტევაზე გადადის და აგრესიული ხდება. ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი ინტერვიუდან ამონარიდი, სადაც რესპონდენტი საკუთარ გამოცდილება სგვიზიარებს:

„უხეშად მექცეოდნენ, არც კი მესალმებოდნენ, ძალიან დაცინვით და ირონიულად მიყურებდნენ, არც კი ვიცოდი, თუ რამეს ვაშავებდი ამის გამო ან რას ვაშავებდი საერთოდ“.

საინტერესოა, მხარეების მიერ, კონფლიქტის რომელი სტრატეგიებია გამოყენებული. ამ შემთხვევაშიც საქმე ტენდენციურობასთან გვაქვს. ამ სტრატეგიების გასაანალიზებლად გამოყენებულია წიგნი „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“, რომელიც მოცემული კვლევის ლიტერატურის მიმოხლვაშია აღნიშნული. უმეტესწილად, გამოყენებულია მეტოქეობის სტრატეგია, ისინი მთლიანად ორიენტირებულები არიან მოგებაზე და შესაბამისად, საკუთარი ინტერესების დაცვაზე, იგნორს უკეთებენ მეორე მხარის ინტერესებს და მათი მოთხოვნების მოგერიებას მოთაფვლის ან სხვა შემთხვევაში, მუქარის ტაქტიქით ცდილობენ. ისინი იმიტომ ირჩევენ კონფლიქტის ამ სტრატეგიას, რომ სურთ, მოახდინონ საკუთარი ძალაუფლების დემონსტირება, რის გამოც არავითარ შემთხვევაში წავლენ დათმობაზე. რაც შეეხება სხვა სტრატეგიას, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება შეგუების სტრატეგია, რაც გულისხმობს მათი მხრიდან დათმობაზე წასვლას და არსებული სიტუაციის მაქსიმალურად ატანას. თუმცა, მაშინ, როცა კონფლიქტის ესკალაცია იზრდება და მატულობს აგრესიის ფორმები, იზრდება სტრესული ვითარება და

უმეტეს შემთხვევაში, რომელიმე მხარე განრიდების სტრატეგიის გამოყენებით ტოვებს კონფლიქტს.მხარეების მიერ განრიდების სტრატეგიის გამოყენებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ისინი თვლიან, რომ არ აქვთ გათანაბრებული შესაძლებლობები იმისათვის, რომ დაუპირისპირდნენ კონფლიქტში ჩაბმულ მეორე მხარეს. გარდა ამისა, მათ სურთ, მალვე და უმტკივნეულოდ დააღწიონ თავი კონფლიქტს და რაც ყველაზე საინტერესოა, ისინი თავს არიდებენ სასამართლოში ჩივილს.

აუცილებლად უნდა დავუთმოთ ყურადღება კონფლიქტის მსვლელობისას სტრესული სიტუაციის არსებობას. კვლევის მიხედვით, დადგინდა, რომ კონფლიქტების პროცესში ყოველთვის იქმნება სტრესული გარემო, რაც მხარეებზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს. სტრესი მთლიანად აისახება მათ ხასიათზე.

3.2 მესამე მხარის ჩართულობა

როგორც აღვნიშნეთ, კონფლიქტის დეესკალაცია უმეტესწილად ხდება განრიდების სტრატეგიით, შედეგად მხოლოდ ერთი მხარის ან არც ერთი მათგანის ინტერესები არ არის დაკმაყოფილებული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიღებული სტრესი თანმდევი ხასიათის ხდება.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კონფლიქტში მესამე მხარის ჩართულობა. იგი უზრუნველყოფს კონფლიქტის კონსტრუქციული გზით წარმართვას, ეხმარება მხარეებს თავიანთი ინტერესების დაფიქსირებაში, ხელს უწყობს მათ შორის კომუნიკაციას და თანამშრომლობის დაწყებას. მიუხედავად ამისა, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენება მხარეებს შორის ძალიან იშვიათია. მათი გამოყენებისგან თავის შეკავება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. ერთ-ერთი მათგანია დროისა და ფინანსური რესურსების არქონა. ხოლო, მეორე რაც უფრო ყურადსაღებია არის ის ფაქტი, რომ მათ არ სურთ პრობლემის გამომზეურება, იმიჯის შელახვა სხვების თვალში.

კვლევის ფარგლებში მხოლოდ ორი პირის მიერ დაფიქსირდა კონფლიქტში მესამე მხარის ჩართულობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ დღესდღეობით კვლავაც არაა აქტუალური

ინდივიდუალური კონფლიქტების მოგვარება მესამე მხარის მონაწილეობით. ბევრი მათგანისათვის ცნობილიც კი არაა, რომ შეუძლიათ სასამართლოს გარდა მიმართონ სხვა დაწესებულებებს, მაგალითად გამოიყენონ მედიაცია ან არბიტრაჟი. პირველი შემთხვევის დროს, მესამე პირი აღმოჩნდა თანამშრომელი, რომელმაც თვითნებურად გადაწყვიტა სიტუაციაში გამორკვევა და დახმარების აღმოჩენა მხარეებისატვის. მეორე შემთხვევა გავრცელებულ ვერსიას მოიცავს და ამ დროს მოხდა სასამართლოში საბუთების შეტანა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც ერთი მეთოდი წარმატებით არ დასრულებულა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა გზა გავუხსნათ დავების მოგვარების ალტერნატიულ მეთოდებს.

დასკვნა

საბოლოო ჯამში, გაანალიზებულ ლიტერატურაზე, დოკუმენტებზე, ინტერვიუსა და დისკურსზე დაყრდნობით, სრულ სურათად გვეხატება სიტუაცია, სადაც კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ურყევი პოზიციების არსებობაა. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის კონფლიქტის სტრატეგიები, რომლებიც უმეტესად გამოიყენება მხარეების მიერ. ამ შემთხვევაში ორ უკიდურეს ვარიანტს ვხვდებით. პირველი - კონფლიქტის გაღრმავების თავიდან აცილებისას, რომელიმე მხარე იყენებს განრიდების სტრატეგიას. ან პირიქით - ერთ-ერთი მხარე ირჩევს მეტოქეობას, რათა არ დათმოს საკუთარი პოზიციები. ამ შემთხვევებიდანაც კარგად ჩანს, რომ ორივე მხარე ორიენტირებულია საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, თუმცა, ამავდროულად საგულისხმოა, რომ მსგავსი სტრატეგიით მოქმედება არ არის ეფექტური და სარგებლის მომტანი არცერთი მხარისათვის. ეს ფაქტი გვაძლევს იმის საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, საჭიროა, ორივე მხარის თანხმობის საუძველზე მესამე მხარის ჩართულობა, რათა მშვიდობიანად დასრულდეს კონფლიქტი.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში განხილულია 2007 წლის კვლევის შემდეგ, რამხელა ნახტომი აქვს საქართველოში მედიაციას გაუმჯობესების კუთხით. ზემოთ საუბარი იყო ისეთ ორგანიზაციებსა თუ კომპანიებზე, რომლებიც საქართველოში ბოლო წლებში შეიქმნენ და აქტიურად ცდილობენ ხელი შეუწყონ მედიაციის პოპულარიზაციას,

ამასთანავე, ისინი ცდილობენ მოაგვარონ ისეთი სახის კონფლიქტები, როგორებიცაა საოჯახო, სამეზობლო, მიწის ნაკვეთის და ა.შ

მართალია, მოცემული კვლევა ყოვლისმომცველი არაა და მის შედეგებს ვერ განვაზოგადებთ, თუმცა, ფაქტია, რომ გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე, შეგვიძლია ზემოთ აღნიშნული ტენდენციების გამოვლენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- d'Estrée, T. P. (2018). *Cultural Encounters and Emergent Practices in Conflict Resolution Capacity-Building.* Palgrave Macmillan.
- Keltner S.W. – Mediation. ERIC 1997. p. 19-40. p. 41-70.
- Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 34.
- kekelia m., red., qarTuli CveulebiTi samarTali, t. 4, mTavari gamomcemloba mecniereba, Tbilisi, 1993, 168.
- ჯორბენაძე რ., მედიაცია. „მერიდიანი“. თბილისი 2012. გვ. 94-95.
- გეთია, ნ. (2013, 06 18). *მედიაცია სამშენებლო დავებთან მიმართებაში.* Retrieved from www.parliament.ge: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloa
- *max conflict management*. (2019). Retrieved from http://www.maxconflictmanagement.com/: http://www.maxconflictmanagement.com/
- *Mediation* . (2019). Retrieved from https://www.hamburg.de/rechtsberatung/: https://www.hamburg.de/rechtsberatung/
- გეთია, ნ. (2013, 06 18). *მედიაცია სამშენებლო დავებთან მიმართებაში.* Retrieved from www.parliament.ge: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32400/mediacia_mshenebloba_int?fbclid=IwAR3rp5aeXPcPsbF4O1Go5FpUguoobhn3h1Sg4e0P4Safv8pBzdbaMKQ91Qo
- *max conflict management*. (2019). Retrieved from http://www.maxconflictmanagement.com/: http://www.maxconflictmanagement.com/
- *Mediation* . (2019). Retrieved from https://www.hamburg.de/rechtsberatung/: https://www.hamburg.de/rechtsberatung/

- გეთია, ნ. (2013, 06 18). *მედიაცია სამშენებლო დავებთან მიმართებაში*. Retrieved from www.parliament.ge: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32400/mediacia_mshenebloba_int?fbclid=IwAR3rp5aeXPcPsbF4O1Go5FpUguoobhn3h1Sg4e0P4Safv8pBzdbaMKQ91Qo
- *დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარება ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისათვის*. (n.d.). Retrieved from http://www.ge.undp.org: http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2019/eu-and-undp-promote-mediation-and-arbitration-in-georgia.html%20)
- *დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი*. (2019). Retrieved from http://ncadr.tsu.ge/geo/1/cven-sesaxeb: http://ncadr.tsu.ge/geo/1/cven-sesaxeb
- *მედიაცია* . (2019). Retrieved from http://mediation.ge/: http://mediation.ge/ka/rules-of-mediation
- *მედიაცია*. (2016). Retrieved from http://www.jtconsulting-geo.com/: http://www.jtconsulting-geo.com/service/mediacia/23
- ორბელიანი, ს. (2018). *მედიაცია - მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია*. Retrieved from prevention.gov.ge.

- dFile/32400/mediacia_mshenebloba_int?fbclid=IwAR3rp5aeXPcPsbF4O1Go5FpUguoobhn3h1Sg4e0P4Safv8pBzdbaMKQ91Qo

სატიტულო ფურცელი (დანართი N1)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Anano Modebadze

Public opinion research about Mediation

Master Programme of Conflict Analysis and Management

Master's Thesis Presented to the Graduate Tbilisi State University Submitted of the Requirement for the degree of Master of Arts in Conflictology

Supervisor: Guguli Maghradze, Professor of the Tbilisi State University

Tbilisi 2019